სგშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის საჯარო განხილვა - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის განაშენიანების გეგმის პროექტი

სტრატეგიული დოკუმენტის დასახელება: განაშენიანების გეგმის პროექტი

სტრატეგიული დოკუმენტის განმახორციელებელი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია

სტრატეგიული დოკუმენტისა და სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- **2025 წლის 17 დეკემბერი, 12:00 საათი, სოფ. ორბეთის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციებს გასცემს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან და სგშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და **2025 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ან ელექტრონული ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო და დამგეგმავი ორგანო.

პროექტის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/fb18f596-eb2a-4a7b-af9e-b4fd767e1a6c.